



MES 9 21 0000926932



16/09/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 3 სექტემბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82880241432?pwd=VHh1YUJ6QUxsOWtva0ZuRG1velRjZz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მერი ციციშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

### **დაწესებულებების წარმომადგენლები:**

#### **სსიპ - კოლეჯი „ასი“:**

მალხაზი ასლამაზაშვილი - დირექტორი;

დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე;

ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ნინო ფროდიაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

#### **სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“:**

ბელა ავალიშვილი - დირექტორი;

მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

მანანა ოკოშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

#### **სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:**

თეონა ხუფენია - რექტორი;

მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი;

ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

#### **ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“:**

ანა დათუაშვილი - დირექტორი;

ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი;

მაია აზმაიფარაშვილი - მასწავლებელი.

#### **სსიპ კასპის კოლეჯი:**

დემეტრე დემეტრაშვილი - კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამთა კვინიკაძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

მარიამ გოგოლაძე - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

#### **შპს MAGNIUM+:**

რომანი ზაალიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი/ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელი;

გიორგი გრძელიძე - სტრატეგიული პროექტების ხელმძღვანელი;

სოფო ფიროსმანაშვილი - აკადემიის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი.

## პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ქეთევან ჯანელიძე,  
მამუკა გოგელია,  
გენადი კვერეჩხილაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. სსიპ კოლეჯი „აისისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი „ოპიზარისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზური“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01084/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზური“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კასპის კოლეჯისთვის -, „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“ /01101/ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს MAGNIUM+ ის პროფესიული მომზადების პროგრამის „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო ცენტრის ან დაწესებულებების მხრიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრს შუამდგომლობა არ აქვს დღის წესრიგთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აცილება არ აქვთ საბჭოს წევრების მიმართ.

**1. სსიპ კოლეჯ „აისისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე განიხილავდნენ მსგავს საკითხებს რეგიონული ტურის მეგზურთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს საკითხები საბჭომ უკვე განიხილა და ხარვეზის გამოსასწორებლად ერთ თვიანი ვადა მიეცა ორგანიზაციებს, რომლის საფუძველზეც მოხდა პროგრამების განახლება და პროგრამების განმეორებით შეფასება. მან მიმართა დარგის ექსპერტს ქეთევან ჯანელიძეს და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ლანა გაჩეჩილაძეს, რომ მოკლედ წარმოედგინათ რა დაემატა ამ მომზადების პროგრამას. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციამ საბჭოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემულ ვადაში წარმოადგინა გასწორებული პროგრამა დაფაქტობრივად განმეორებით ვიზიტი დაახლოებით 10-15 წუთიანი იყო, რადგან პროგრამაში შინაარსობრივად არაფერი არ იყო შეცვლილი და დაზუსტდა მხოლოდ პროგრამის დასახელება და დაემატა სიტყვა „ქართულენოვანი“, ამასთან საბჭო წინა დასკვნასაც იცნობს და მასთან მიმართებით არაფერი არ შეცვლილა.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ აღნიშნული იყო საბჭოს წევრების მხრიდან ყურადღებამიქცეული ძირითადი საკითხი, რის გამოც კოლეჯს მიეცა დამატებითი ვადა. შემდგომ კი იკითხა, ხომ არ ქონდათ ამასთან დაკავშირებით რაიმე კითხვა საბჭოს წევრებს და იქვე განუმარტა, რომ პროგრამის დასახელებაში ემატებოდა მხოლოდ სიტყვა „ქართულენოვანი“. საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონდათ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯი „აისისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „აის“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი) /01087/ (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

**2. სსიპ კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც საქმე ეხებოდა ქართულენოვანი გიდის მომზადების პროგრამას, შემდეგ კი მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტს მაყვალა დარსანიას და დარგის ექსპერტს მამუკა გოგელიას, რომ წარედგინათ პრეზენტაცია.

მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები, რაც ექსპერტის მიერ იქნა მიწოდებული დაწესებულებისთვის, გაითვალისწინა დაწესებულებამ და პროგრამის დასახელებაში დაემატა სიტყვა „ქართულენოვანი“. ექსპერტის აზრით, ყველა წინა რეკომენდაცია, რომელიც მიეცა დაწესებულებას, გამოსწორებულია და სხვა კუთხით არანაირი პრობლემა აღარ იყო პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ადასტურებდა და ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტის მითითებებს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ

აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი) /01075 (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

### **3. სსიპ კოლეჯი „ოპიზარისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზური“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც საქმე ეხებოდა გადამზადების პროგრამას, შემდეგ კი მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტს მაყვალა დარსანიას და დარგის ექსპერტს მამუკა გოგელიას, რომ წარედგინათ პრეზენტაცია.

მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ გადამზადების პროგრამაში მხოლოდ უცხო ენის დონე იქნა დაზუსტებული. მოცემულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა წარმდგენ პირებს დაეზუსტებინათ საკითხი, რამდენადაც წინა შემთხვევაში, როცა ამ პროგრამის საკითხი იქნა განხილული საბჭოს სხდომაზე, გაიცა რეკომენდაცია, რომ წინაპირობად მითითებული ყოფილიყო გიდის სამუშაო გამოცდილება.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მამუკა გოგელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დამკვეთის წინაპირობებია: ტურის მეგზურად/გიდად მუშაობის გამოცდილება და/ან ბაკალავრის სტუდენტი ტურიზმის ან ისტორიის სპეციალობით, სრული ზოგადი განთლება, უცხო ენის (ინგლისური ან რუსული) ცოდნა B2 დონეზე და გასაუბრება. ამ ჩანაწერის შესაბამისად, შესაძლებელია პროგრამაზე ჩაირიცხოს პირი, რომელსაც აქვს ტურისტულ ინდუსტრიაში მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, თუმცა ტურისტული ინდუსტრია ფართო სფეროა, შესაძლებელია პირი არ იყოს გიდი, არამედ ვთქვათ სხვა, ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე გამოცდილების მქონე პირი (მაგალითად მიმტანი ან ბარმენი). ასეთ პირს არ ექნება გამოცდილება და ცოდნა ამ მიმართულებით და ვერ გადამზადდება ამ პროგრამის ფარგლებში. სასურველია დაზუსტდეს პროფესიული გადამზადების პროგრამის წინაპირობა და მიეთითოს კონკრეტულად გიდის მიმართულებით სამუშაო გამოცდილება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ეს ტექნიკურ უზუსტობად დაასახელა და გამოთქვა გასწორების მზაობა.

ექსპერტის აზრით, ყველა წინა რეკომენდაცია, რომელიც მიეცა დაწესებულებას, გამოსწორებულია და სხვა კუთხით არანაირი პრობლემა აღარ იყო პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ადასტურებდა და ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტის მითითებებს, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ქონდათ თუ არა რაიმე კითხვა. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონათ. მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მიესალმებოდა ასეთი პროგრამების განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“ /01075/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - რეგიონული ტურის მეგზური /01074 (დანართი 3). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

**4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01084/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც, ანალოგიური მდგომარეობა გახლდათ, კერძოდ განსახილველი იყო რეგიონული ტურის მეგზურის მომზადების პროგრამა, რომლის სახელწოდებაში დაემატა სიტყვა „ ქართულენოვანი“.

მამუკა გოგელიამ აღნიშნა, რომ სხვა რეკომენდაციები საბჭოს სხდომაზე წინა განხილვის დროს არ ყოფილა და მისი აზრით ყველაფერი შესაბამისობაში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ქონდა თუ არა სურვილი დამატებით რაიმე მოსაზრება გამოეთქვა, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ითვალისწინებდა ყველანაირ რეკომენდაციას და საკითხი უკვე დაზუსტებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის - „რეგიონული ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01084/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი) /01084/ **(დანართი 4)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

**5. ა(ა)იპ - კოლეჯი განთიადისთვის – „რეგიონული ტურის მეგზური“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა რეგიონული ტურის მეგზურის გადამზადების პროგრამას, შემდეგ კი საკითხის კონკრეტიზაციისთვის მიმართა დარგის ექსპერტს მამუკა გოგელიას. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიმართ ბევრი რეკომენდაცია იქნა გაცემული პირველი შემოწმების დროს, რომლის მიხედვით საბჭომ კოლეჯს განუსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების ვადა. ექსპერტის მოსაზრებით, დაწესებულებამ ყველაფრის გამოსწორება შეძლო, ამასთან პროგრამაზე დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია გიდად მუშაობის გამოცდილება - 1 წელი, სრული ზოგადი განათლება და გასაუბრება. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცონდა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში.



საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, უცხო ენის დონე ჰქონდა თუ არა მითითებული დაწესებულებას პროგრამის წინაპირობაში. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელს მისცა საშუალება თავად განემარტა აღნიშნული და თუ სურვილი ექნებოდა საკუთარი აზრიც დაეფიქსირებინა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი მირუაშვილმა, განმარტა, რომ მათ უცხო ენასთან დაკავშირებით მითითება არ ჰქონიათ, შესაბამისად ენის მოთხოვნა ჩადებული არ ქონდათ პროგრამის წინაპირობაში, რადგან ა(ა)იპ კოლეჯი განთიადის პროგრამა მორგებული იყო ძირითადად მის პარტნიორზე, რომლის უკვე გამოცდილი გიდეების გადამზადებას გეგმავს კოლეჯი და გამომდინარე იქედან, რომ პარტნიორ ორგანიზაციაში სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე გიდეები იყვნენ, მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული უცხო ენის მოთხოვნა არ იქნა ჩადებული პროგრამაში, რათა არ მომხდარიყო ენის შეზღუდვა და ამით არ გამოწვეულიყო სხვა პრობლემა პარტნიორთან მიმართებით. აღნიშნულმა გამოიწვია საბჭოს წევრებს შორის აზრდა სხვადასხვაობა, რის გამოც გაიმართა მსჯელობა.

საბჭოს წევრმა ნატო მებურიშვილმა განაცხადა, რომ კონკრეტული საკითხი ეხებოდა მხოლოდ ამ ორგანიზაციის გადამზადების პროგრამას, ამასთან მიღების პროცესში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი გიდეები, რამაც განაპირობა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა კონკრეტული უცხო ენა დაშვების წინაპირობად გაწერილი, აქედან გამომდინარე ენის აუცილებლობის წინაპირობაც არ გააჩნდა დაწესებულებას, შესაბამისად ნატო მებურიშვილის აზრით, რადგან სახეზეა გადამზადების ისეთი კურსი, რომელსაც ყველა უცხო ენაზე მოსაუბრეს სთავაზობენ, ამაში მისი აზრით პრობლემა არაა.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, გადამზადების პროგრამების სხვა შემთხვევების დროს, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებებს მოთხოვნაში ეწერათ "მოცემულ სფეროში მომუშავე პირი", ხოლო შემდეგ დაკონკრეტებით "გიდი", მაინც მოთხოვეს ამ დაწესებულებებს, რომ უცხო ენის ცოდნის დონე მიეთითებინათ. საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულებებმა გადამზადების პროგრამაში დააკონკრეტეს უცხო ენა და შესაბამისი დონე. აღნიშნულს დაეთანხმა მარიკა ზაქარეიშვილი. მისი აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოცემული დაწესებულება აპირებს კონკრეტული ორგანიზაციის თანამშრომლების გადამზადებას, აღნიშნული მაინც საბჭოს არაერთგვაროვან მიდგომას განაპირობებს სხვა დაწესებულებებთან მიმართებით.

ნატო მებურიშვილმა, განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარის და მარიკა ზაქარეიშვილის აზრს, მოცემული შემთხვევის სხვა დაწესებულების შემთხვევასთან ანალოგიურობის საკითხში, მაგრამ იქვე დაამატა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ურთიერთობა კომპანიასთან, ამასთან მას რეკომენდაციაში ეწერა, რომ "სასურველია ენას ფლობდნენ" და არა აუცილებელი მოთხოვნა ენის ფლობასთან დაკავშირებით. ნატო მებურიშვილის აზრით მოცემული კურსი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე გიდეებს მიიღონ კურსში მონაწილეობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირაკლი მირუაშვილმა აღნიშნა, რომ მათი პარტნიორი, რომლის გიდეების გადამზადებასაც აპირებდნენ, მოცემულ ინდუსტრიაში ოპერირებენ ბევრ სეგმენტში, როგორცაა, მაგ: ღვინის ტურები; აგრო ტურები და ა.შ წარმომადგენლის თქმით პარტნიორი კომპანიის გიდეები იყვნენ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეები მაგ: ინგლისურენოვანი; რუსულენოვანი და ა.შ ამასთან კომპანია პირდებოდა კოლეჯს, რომ მოცემული პროგრამის პირველ რამდენიმე მიღებაზე შევსებას უზრუნველყოფდა თავისი გიდეებით, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ისინი ვერ ჩაწერდნენ კონკრეტულ ენას, რადგან კომპანიას რამდენიმე ენაზე მოსაუბრე გიდი ჰყავს. კოლეჯის წარმომადგენლის თქმით, როცა პროგრამის დაშვების წინაპირობაში მოითხოვეს გიდის გამოცდილება, მაშასადამე მოცემული გულისხმობდა იმას, რომ მსმენელი ერთ ან რამდენიმე უცხო ენაზე უნდა საუბრობდეს.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილის აზრით, მხოლოდ გიდის წოდება აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ მან რამდენიმე ენა იცის. მისი აზრით უდიდესი პრობლემაა ჯერ კიდევ გიდებთან მიმართებით, რადგან მათი ნაწილი არ ფლობს უცხო ენას კარგად, რის გამოც, მარშრუტების აღწერასა და ინფორმაციის გადმოცემაში პრობლემა აქვთ.

საკითხის კონკრეტიზაცია მოითხოვეს საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ, რისთვისაც დაკონკრეტების თხოვნით ექსპერტს მიმართეს, რათა აეხსნა საბჭოს წევრებისთვის თუ რით განსხვავდებოდა ა(ა)იპ კოლეჯი განთიადის გადამზადების პროგრამა სსიპ კოლეჯი "ოპიზარის" გადამზადების პროგრამისგან, რის გამოც ამ უკანასკნელს მიეცა სავალდებულო რეკომენდაცია უცხო ენის მითითებაზე, ხოლო, ა(ა)იპ კოლეჯი განთიადს - არა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გამოითქვა მისი მოსაზრებების მსგავსი არგუმენტები, რასაც იგი ეთანხმებოდა, კერძოდ მისი განმარტებით, ა(ა)იპ კოლეჯი განთიადის შემთხვევა, განსხვავდებოდა იმით, რომ აღნიშნულ დაწესებულებას სურდა გადაემზადებინა პარტნიორი კომპანიის, სხვადასხვა უცხო ენის მქონე გიდები, ამასთან ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეიძლებოდა ენის დონის B2 დონის მითითება წინაპირობად, მაგრამ ეს სავალდებულო არ იყო და ამაში პრობლემას იგი ვერ ხედავს.

ექსპერტის მოხსენების შემდეგ, საბჭოს წევრმა, მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია მოცემული საკითხი, რადგან მისი აზრით სსიპ კოლეჯი "ოპიზართანაც" იგივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი, კერძოდ მოცემული დაწესებულება ამბობდა, რომ მას ჰყავდა სხვადასხვაენოვანი გიდები და შესაბამისად რომელიმე ენას მაგ: ინგლისურს, მათ ვერ მოთხოვდა, ამაზე კი საბჭოს წევრებმა განუცხადეს, რომ თუ საქმე ეხებოდა გადამზადებას, შესაბამისად ისინი ორიენტირებულნი უნდა ყოფილიყვნენ რომელიმე კონკრეტულ უცხო ენაზე და წინაპირობაშიც უნდა მიეთითებინათ აღნიშნული.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძალიან ჰგავს ა(ა)იპ კოლეჯი განთიადის შემთხვევა, სსიპ კოლეჯი "ოპიზარის" შემთხვევას, მარიკა ზაქარეიშვილს დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ არამცთუ მსგავსი არამედ იდენტური შემთხვევებია და მისთვის გაუგებარია თუ რატომ აყენებს ექსპერტი ამ ორ დაწესებულებას სხვადასხვა მდგომარეობაში.

მოცემულ დისკუსიაში ჩაერთო საბჭოს წევრი, გიორგი გამყრელიძე, რომელმაც დაადასტურა, რომ უცხო ენის დონის დაზუსტებას საბჭო თხოვდა სხვა დაწესებულებებსაც, შესაბამისად ზუსტად ანალოგიური მდგომარეობა იყო ა(ა)იპ კოლეჯი განთიადთან მიმართებაში და მისთვისაც გაუგებარი იყო თუ რატომ უნდა მოქცეულიყვნენ ამ უკანასკნელის შემთხვევაში სხვანაირად და რატომ არ უნდა მოეთხოვათ მისთვის ანალოგიური დაშვების წინაპირობა.

საბჭოს წევრი, ნატო მებურიშვილი, კიდევ ერთხელ ჩაერთო დისკუსიაში და განაცხადა, რომ მოცემული დაწესებულების წარმოდგენილი გადამზადების პროგრამა, სხვა დაწესებულების გადამზადების პროგრამისგან განსხვავდებოდა იმით, რომ მას ჰყავდა პირდაპირი პარტნიორი, რომელსაც ყავდა თავისმხრივ სხვადასხვა უცხო ენის მცოდნე გიდები, რომელთა გადამზადება უნდა განეხორციელებინა მოცემულ დაწესებულებას ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვამხრივ დანარჩენ წევრებს ეთანხმებოდა.

საბჭოს წევრმა, თორნიკე ჯობავამ, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ აყენებს ა(ა)იპ კოლეჯი განთიადს განსხვავებულ მდგომარეობაში პარტნიორის ყოლა, რადგან მისი თქმით, სხვა დაწესებულებებსაც ჰყოლიათ აქამდე იდენტურ მდგომარეობაში პარტნიორი,

მაგრამ მათ შემთხვევაში მსგავსი გამონაკლისი, საბჭომ არ დაუშვა. ამასთან, თორნიკე ჯობავამ აღნიშნა, რომ ყველასთან უნდა ჰქონდეს ცენტრს/საბჭოს ერთნაირი ურთიერთობა და არ შეიძლება ორმაგი სტანდარტის დაწესება.

საბჭოს წევრებმა თხოვნით მიმართეს ექსპერტს, რომ კიდევ ერთხელ განემარტა თუ რით არის განსხვავებული ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადის" შემთხვევა სხვა დაწესებულებებისგან, რის გამოც მოცემული კოლეჯისთვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ძირითადად განსხვავება ეხებოდა პარტნიორის არსებობას და მისი შეფასება ეყრდნობოდა კოლეჯის იმ განმარტებას, რომ ამ პარტნიორის თანამშრომელთა გადამზადება იგეგმება.

გამართულ დისკუსიაში საბჭო თავმჯდომარის თანხმობით, ჩაერთო, ლანა გაჩეჩილაძე, რომელმაც განმარტა, რომ პროგრამის განხორციელების უფლება 3 წლის ვადით გაიცემა საბჭოს მიერ, შესაბამისად, ლოგიკურად, მხოლოდ ერთ ჯგუფზე ორიენტირებულად ვერ გასცემდნენ ნებართვას.

ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას დაეთანხმა, მარიკა ზაქარეიშვილი, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნა, რომ მოცემული პარტნიორი ორგანიზაცია შემდგომი 3 წლის განმავლობაში არ იქნებოდა ერთადერთი და შესაძლებელია სხვა იდენტურ მდგომარეობაში მყოფი ორგანიზაციებიც გამოჩენილიყვნენ კოლეჯთან თანამშრომლობის მიზნით. მომზადების და გადამზადების პროგრამების მთავარი დანიშნულება არის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დამსაქმებლის საჭიროებებზე ორიენტირება, ამ შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციის კადრების გადამზადების საჭიროებაა, შესაბამისად კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა, რომ მიცემოდა რეკომენდაცია აღნიშნულ დაწესებულებას იმის შესახებ, რომ პარტნიორი ორგანიზაციის კადრების გადამზადების შემდეგ თუ კიდევ გამოაცხადებდა პროგრამაზე მიღებას, მიღებამდე ჩაასწორებდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს უცხო ენის მითითებით და როგორც ცენტრს, ასევე საბჭოს დამატებით ეცნობებოდა ამის შესახებ.

ნანი დალაქიშვილი დაეთანხმა მარიკა ზაქარეიშვილის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ცენტრს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს პროგრამის მონიტორინგი.

მოცემულ შეთავაზებას თავის მხრივ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი, რომელმაც იკისრა ვალდებულება რომ ღია მიღების დროს, მსმენელთა მიღებამდე პროგრამაში ცვლილების შეტანისთვის მიმართოს დაუყონებლივ ცენტრს და გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საბჭოს დამატებითი ვადის მიცემის უფლება და შესაძლებლობა არ გააჩნდა, შესაბამისად უკეთესი იქნებოდა თუ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას შემდეგი დათქმით, რომ პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომელთა გადამზადების შემდეგ, სხვა პირების პროგრამაზე მიღებამდე პროგრამაში წინაპირობა უნდა გასწორდეს, კერძოდ წინაპირობაში უცხო ენის დონე B2 უნდა მიეთითოს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიერ დადგენილ პირობასთან დაკავშირებით მზაობა განაცხადა და აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯი განთიადისთვის – „რეგიონული ტურის მეგზური“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯი განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - რეგიონული ტურისი მეგზური /01085/ (დანართი 5).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

**6. სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“ /01101/ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ საკითხი ეხება სსიპ კასპის კოლეჯის მომზადების პროგრამას - „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“ , რომელზეც საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების ვადა, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა და მოხდა განმეორებითი შეფასება, დარგის ექსპერტის, გენადი კვერენჩხილაძის ჩართულობით.

მაყვალა დარსანიას თქმით, განმეორებითი შეფასებისას ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რადგან ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ და შესაბამისად არც ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც დამატებითი რეკომენდაცია არ იქნა გაცემული.

საბჭოს წევრის მარიკა ზაქარეიშვილის თქმით, საწყის ეტაპზე, პირველად შემოწმებისას დაწესებულებას ქონდა მოცემული პროფესიის საჭიროების დასაბუთებასთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით ხარვეზი, რაც განმეორებითი დასკვნის მიხედვით უკვე გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა სიტყვა. დემეტრე დემეტრაშვილმა, აღნიშნა, რომ წინა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები გასწორებულია და რეკომენდაციები გათვალისწინებულია, ასევე, მოგვარდა საკითხი შენობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური შემოწმების დასკვნასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, ქონდათ თუ არა ექსპერტთან რაიმე კითხვა, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ ყველაფერი გასაგები იყო, ექსპერტის დასკვნით და დამატებით კითხვა არ ჰქონდათ.

ექსპერტმა თხოვნით მიმართა საბჭოს, რომ მოესმინათ მისი მოკლე მოხსენება განსახილველ პროგრამასთან მიმართებით, რაზედაც თანხმობა მიიღო. გენადი კვერენჩილაძემ დაიწყო საკითხის მიმოხილვა შენიშვნებით, კერძოდ მან აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დრო შენიშვნები რაც მიცემული ჰქონდა კოლეჯს, შეეხებოდა ბაზრის კვლევასა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ამასთან ექსპერტმა თქვა, რომ ვიზიტის დროს ბაზრის კვლევისა და პერსპექტიულ განმახორციელებლებთან შეხვედრის შემდეგ, იგი დარწმუნდა, რომ ყველა ის შენიშვნები თუ რეკომენდაციები, რაც მიცემული ჰქონდა გათვალისწინებული აქვს კოლეჯს. წინა შემთხვევაში 18 წელი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, შემდგომ კი სავალდებულოდ ჩაითვალა საშუალო განათლება და დაემატა მსმენელთა შერჩევასას გასაუბრების თემატიკაში სურსათის უვნებლობის კოდექსი, რაც ექსპერტის აზრით მოტივაციას და წარმოდგენას შეუქმნის მომავალ მსმენელებს ამ პროგრამის შესახებ. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნით დაწესებულებამ ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია გაითვალისწინა, რაც პროგრამას განვითარების დიდ მომავალს უქმნის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კასპის კოლეჯისთვის - „სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში“ /01101/ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, სსიპ კასპის კოლეჯს (ს/კ: 205405480) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საწარმოში /01101 (დანართი 6).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

## 7. შპს MAGNIUM+ ის პროფესიული მომზადების პროგრამის „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა დარგის ექსპერტი და შესაბამისად იგი თავად წარადგენდა პრეზენტაციას. მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ იურიდიულმა პირმა წარმოადგინა წერილი ცენტრში, რომლის თანახმად, რადგან მათ უკვე განახორციელეს მოცემული პროგრამა, გამოიკვეთა საჭიროება, რომ გარკვეული ცვლილებები შეეტანათ ამ პროგრამაში. აქედან გამომდინარე დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანა პროგრამაში და განახლებული პროგრამა წარმოადგინეს, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მონიტორინგი და შემოწმების ფარგლებად განისაზღვრა მხოლოდ პირველი სტანდარტი.

დასკვნაში ხარვეზი პირველ სტანდარტთან მიმართებით არ დაფიქსირებულა, ამასთან დაამატა, რომ ექსპერტის აზრით, აღნიშნული ცვლილებები მისაღები იყო და სტანდარტი არ იყო დარღვეული. გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია: 1.2 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამაში, საწყის ეტაპზე თემატიკას დაემატოს შემდეგი საკითხები: მაცივარი მანქანის/სიტემის მუშაობის სქემა და შემადგენელი კომპონენტების/ელემენტების დახასიათება/აღწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, კითხვით, თუ რა ცვლილებებს ეხებოდა საქმე და ქონდათ თუ არა მათ რაიმეს დამატების სურვილი, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაიწყო ახსნა იმისა, რომ მათ ჩაატარეს პირველი სწავლება, რა დროსაც დიდი დრო დაუთმეს როგორც ლექტორებთან მუშაობას, ისე მსმენელებთან მუშაობას, ეს იყო კითხვა-პასუხის რეჟიმი თუ უბრალო გასაუბრების რეჟიმი. ამასთან სასწავლო პროცესზე დაკვირვება მიმდინარეობდა, სადაც გამოვლინდა, რომ ზოგიერთი საკითხი იყო შესამცირებელი, თუმცა ეს არ ეხებოდა პრაქტიკულ ნაწილებს, არამედ - მხოლოდ თეორიულ ნაწილებს და იმ თემატიკის ცვლილება განახორციელეს, რომელმაც წარმომადგენლის აზრით სამწუხაროდ არ იმუშავა, კერძოდ პროგრამაში შეტანილი ქონდათ 2 საკითხი, რომელიც განეკუთვნებოდა უმაღლესი განათლების სფეროს და ისწავლებოდა რამდენიმე სემესტრი უმაღლეს სასწავლებლებში, ეს იყო ჰაერის კონდიციონერების სისტემების ენერჯის ეფექტური გამოყენება და მისი დაცვა, ხოლო მეორე საკითხი გახლდათ ტენიანი ჰაერის თვისება. მთლიანობაში ორივე საკითხი იყო რთული, თუმცა, მათ თავიდან იფიქრეს, რომ ზოგადად გადაეცათ მოცემული მსმენელებისთვის აღნიშნული თემატიკა, თუმცა არ აღმოჩნდა ეფექტური. ამასთან სტუდენტებმა მოინდომეს საკითხის ძირეული ათვისება, რაც მათთვის არ იყო განკუთვნილი, ამიტომ წარმომადგენლის აზრით უმჯობესი იქნებოდა აქცენტი გადაეტანათ უშუალოდ იმ საკითხებზე რაზეც უნდოდათ, რომ სწავლა განეხორციელებინათ, რა სპეციალისტებიც უნდოდათ რომ გაეხადათ მსმენელები და რა ცოდნაც უნდა მიეცათ მათთვის. შესაბამისად დაწესებულებამ ამოიღო მოცემული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს MAGNIUM+ ის

პროფესიული მომზადების პროგრამის „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/  
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს MAGNIUM+-ში (ს/კ: 400019494) „VRF & VRV სისტემების მომსახურების“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 12:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

